



ომის გამჩაღებელთა ბოროტება განახლდა:
ფაშისტური დამბაჩით ისევ შეიარაღდა!

ნახ. ა. კანდელაკისა



ჭირისუფლად მოევიდნა ამ ხეს სამი „მამობილი“, თითქოს სწუხდნენ, სავადალოდ ტოტი ჰქონდათ დათმობილი...

მაგრამ, როცა ახრიალდა ხე შუაზე გაბობილი, ხე სამივეს მიავიწყდა სამივე დარჩა კმაყოფილი!

თურქული უპირატესობა

პირდაპირ საუკუნოდ ცხონდება კორეაში იანკისათვის თავდადებული ყოველი თურქი ჯარისკაცი! იცით რაჲდენი ახალი უპირატესობა აღმოაჩნდა მას იანკისთან შედარებით?

ჯერ ერთი, როგორც წინადაც ვწერდით, ამერიკელების არაზუსტი გამოანგარიშებით, კორეის ფრონტზე წაყვანილი თვითმული იანკი თუ წელიწადში 5.000 დოლარი ჯდება, თურქი სულ რაღაც 500 დოლარად მიდის იოლად.

ამას გარდა, როგორც ჩიკაგოს გაზეთები იტყობინებინან, ახალი ამერიკულ სტატისტიკაში გახლავთ შემდეგი: „სამხედრო სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წელს დეზერტირების გამოვლინებაში მეტი დახარჯოს, ვიდრე ჯარისკაცთა მელღებით დაჯილდოებაზე“.

რა დაჯდება თვითმული დეზერტირი იანკის გამოვლინება? ეს გამოანგარიშებული არ არის, მაგრამ უთუოდ დიდი ხარჯია! თურქს კი ეს არ სჭირდება, რადგან თურქი ჯარისკაცი სტამბოლი-

დან კორეამდე მგზავრობის დროს ვერ გადებერტირდება, გემზე ზის, სად წავა; ფრონტზე კი, წინ მტერი და სიკვდილია, უკან—ამერიკელი და სიკვდილი, სად გაიქცევა? ამის შედეგად თურქი ჯარისკაცის ფეხსაცმელიც იაფი ჯდება!

ახლა ბაქტერიოლოგიური უპირატესობაც გავითვალისწინოთ:

ვთქვათ, ტრუმენის საკუთარი ჯარისკაცი, დასნებოვნებული ვირთხა, იანკის თვითმფრინავმა შემთხვევით მტრის ფრონტის წინა ხაზზე ჩამოასკუპა. რა გარანტია გვაქვს, რომ დამფრთხალ ვირთხას გზა არ შეეშლება, პირდაპირ წინა ხაზზე მყოფ თურქ ჯარისკაცთან არ წაცუნცულდება და „სალამ ალეიქუმს“ არ ეტყვის? თუ გავითვალისწინებთ, რომ ხოლერისგან ფეხებგაფშეკილი თურქის დამარხვა ჩალის ფასი დაჯდება, ყუმბარის ნამსხვრევისგან დაკოდილ იანკის ჰოსპიტალიზაცია კი—საკმაოდ დიდი თანხა, ადვილად წარმოვიდგენთ, რამდენი უპირატესობა აქვს თურქ ჯარისკაცს.

ყაბულა

რა შეუძლია კარგ ქურან ცხენს, როცა იგი ხუთი წლისაა და ვარსკვლავებს ეთამაშება?

ო, მას ბევრი რამ შეუძლია... მას შეუძლია ბრძოლაში ასახელოს სამშობლოს დამცველი ვაჟკაცი, ხოლო მშვიდობიანი შრომის დროს უთვალავი სამსახური გაუწიოს კომუნიზმის მშენებლობის იმ უბანს, სადაც იგი ბედმა მიამაგრა. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მას შეუძლია თავმომწონედ აქიქვიოს ქვეხასავით გვერდზე ქუდმოგდებული თავმჯდომარე. მიგვიხვედბოდით, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვგულისხმობთ. კონკრეტულად და სახელდობრ კი ბოლნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

„ცხენის ტრფიალიო“ რომ იტყვიან, სწორედ ასეთი კაცია ეს ჩვენი თავმჯდომარე მისკარიანი. მას „გულში ჩაუვარდა“ მარნეულის რაიონის სოფელ დამია ვიაურ-არხის კოლმეურნეობის ლურჯა ცხენი „ყაბულა“, რომელიც ბრიგადირ სარო მისკარიანს ყავდა ჩაბარებული. შეეცადა დაეყაბულებინა სარო საზიზღარ კომბინაციაზე, რის შედეგადაც შეეძლებოდა ყაბულას დაპატრონებოდა.

— შენ, საროჯან, ხომ ხედავ, კაცი ვდნები მაგ ყაბულას ეშხითა, ცხენი კი არა — ოქროა, თქვი და ოქროს მოგცემ, ჰამაც გვარის კაცს სიკეთეს დაგიფასებ, გაბედე და გვათათოთ, ჰა!.. — ჩასჩიჩინებდა ის მისკარიანს.

— არა, ახპერ, ოქრო კარგია, მაგრამ მეშინიან!

რისა გეშინიან, ვისი გეშინიან? — ვისი და ჩვენი თავმჯდომარე ამზა მამედოვისა.

— რა გაშინებებს, შე კაი კაცო, ამზას არ ვიცნობ? ოლონდ ქრთამი გაუყავი და ხმასაც არ გაგცემს.

სარო მისკარიანმა მართლაც გაიხსენა ზოგი რამ მამედოვის „გულკეთილობიდან“, მოელაპარაკა მას, ყაბულა ბოლნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიართვა, ფული პორტფელში ჩაილაგა და მამედოვთან ისეთ დროს მიიტანა, როცა იქ გამგეობის წევრებიც იყვნენ.

— ვაი, ვაი, არ გებრალეებით, ხალხოჯან? ჩვენი ყაბულა მგელმა შექამა!





— მართლა? — „მიუსამძიმრა“ მამედლოვმა, — როგორ შექამა იმ შეჩვენებულმა! ვაი, ვაი!

— როგორ და, ერთი თვალევი რომ დაუბრიალა, ერთი „ჰამ“ რო ქნა, ყაბულა თოკიანად გადაყლაპა, ვაი, ვაი!

— მართლა „ჰამ“ ქნა? თუ „ჰამ“ ქნა, მართლა თოკიანად გადაყლაპავდა, ვაი, ვაი! მაშ ჩამოვაწეროთ საროსა! აფსუს ყაბულ, რა ლურჯი ხალები ჰქონდა, რა იორლა იყო, რა ფრუტუნდი იცოდა!.. — თან მისკარიანს ხმადაბლა წასჩურჩულა — ფული მარცხენა უჯრაში ჩამიდევო.

როცა სარო მისკარიანმა ყველაფერი ისე „გააკეთა“, როგორც საჭირო იყო, როცა მან ყალბი აქტები მაგიდაზე დაალაგა და ცრემლებიც დაღვრა, მამედლოვმა გამგეობის წევრებთან ერთად ჩამოაწერა ბრიგადირს „თოკიანად შეკული“ ყაბულა.

ამბობენ, ამ რთული ოპერაციის შემდეგ, მარნეულის დიდი კაკლის ხის ქვეშ მისკარიანმა აქტის გამკეთებლებს დიდი მალარიჩი გადაუხადაო. ქიანურის „საარზე“ ყაბულას შესანდობარი ისმოდა, ბაიათები ისმოდა, ჯამი ხელიდან ხელში გადადიოდაო!

ყაბულა კი დააქროლებდა თავის ახალ „მყიდველს“, კიხვინებდა, თავისი სოფლისაკენ მიიწევდა, თითქოს სურდა თითო წიხლი მაინც ჩაეცა სახალხო დოვლათის მიმთვისებელი მტაცებლებისათვის. ერთი სიტყვით, ყაბულა არ ყაბულდებოდა მტაცებელთა გაიძვერობას. თითქმის ორი თვე დასჭირდა ქურანს, ვიდრე ნამდვილად მიაღწევდა თავის მშობლიურ კოლმეურნეობამდე. მან მარტო ერთი მისვლით ფარდა ახადა მამედლოვისა, მისკარიანისა და მის ხელისშემწყობთა არამზადობას. ფარდა ახადა ლურჯა ცხენმა, კარგმა ქურანმა, მაგრამ რატომღაც დღევანდლამდე ვერ დაინახა ბოლნისის რაიონის პროკურორმა, ვერ გაიგო, ვერ გამოიკვია, თუ კოლმეურნეობის რამდენ ქონებას უყვეს ნამდვილი „ჰამ“ ორფეხა მგლებმა — მისკარიანმა და მათმა დამქაშებმა, რომელნიც დღესაც დაუსჯელად დაიარებიან.

ფარსადანი



— მე რომ მტუქხავ: „კკუით იყავ, არაფერი დაშავო!“ —
შენზე რად სთქვეს: „გვატყუებდა, ცუდად გაგვათამაშაო!“

ცუდად ყოფნა არც შენ გშვენის, არც მე უნდა ამაჩემო...
მოდო, ერთად ვითამაშოთ, კკუით ვიყოთ, მამაჩემო!

დელი-ოდლაგაძე

ბაზარი-ბაზარი...



— რა ამაზი, ბაზარა? — ეკითხვას ხოლმე ხელმძღვანელი, თუ მის დაში რწმუნებულ დაწესებულებაში უწყისიგანას წაქაფდა.
— ბოდიშს ვიღებ, ჩემს სახლში ბაზარია — გვახვითი თუჯის დიასახლისი, თუ სახლის დალაგების დროს ეტყულებოდა.

ბაზარადმი ასეთი უფრთხილება იდოიდან მოდის, მაგრამ უღაპარაკოდ დამკვირვებელი, რომ არ შეიძლება უწყისიგანას ჩვენს საკომლერტო ბაზარს ხინდობს იყოს. ამ უჩინო თანხმე ჩვენი ბაზარი სამართლებრივ გახლავთ და გადაწყვეტა ერთი დაკრების დამკვირვებელი ბაზარია...
მაგრამ ზედმეტი არა უნდა, თუ ცალ თვალს მიაჩნდეს გადაკვეთილი საბაზრო ცხოვრების, რადგან აქვე კიდევ მზავდება რამ არის მოსაგვარებელი და გამოსაწორებელი...

— რამდენი თასი მანეთი პენსია უნდა ჰქონდეს ამხ, კურონის, რომ იმ ხარჯებს აუვიდეს, რომელიც ზოგინათ უფროსთან გასაგებ გოკუქამანინდურით გაეხსნებოდა...



ბასანოეკები, ადამ და ევსა? დროინდელი კოლეტი, გახსნული ტრიკოტაჟი, დაქინილი ჩანთები და შინავალი სხვა პირველი მოუხმებლობის სეგანი.

როცა კომლერტნი წვიმამ დაგს და ვეკაროს, მაღაზიში მოვალეთებელი შემეხვდები ქოლეს სათავაზოზე. როცა პროდუქტებს გაყიდის და გეძეში ფული აღარ ეტეხება, დაბეჭდული ნაწილობითა და პირველადი უმასპინძლებითა...

აჰ, შემხვედრი ბაზრობაც ამას ჰქვია!

რას ახსენებენ შემხვედრები

თბილისის საკომლერტო ბაზრებში გახსნებულა შემხვედრი ვეკარობა. ეს "შემხვედრი" დახლოებით იმას ნიშნავს, რომ ჩამოსულ კომლერტებს თბილისის საკომლო ორგანიზაციები უნდა შეხვედნენ სამრეწველო პროდუქციით და გაუწიონ ფრადი ეტელი მომსახურება. ამისათვის ჩვენს საკომლერტო ბაზრებზე "თბილერობას" აქვს 196 მაღაზია, ნაირ-ნაირი პირტებს, საკომლერტო ბაზრებზე, საკომლერტო წერტებისათვის დათმობილია... 17 დარბაზი.

რა გინდა სულა და გულა ამ შემხვედრი მოვარეების რომ თვის მელაზიგში არ გააჩნდეთ: 1942 წელს შეტყობილი აქვდა...

ბაზარის ფილიალი

ამ ბოლ დროს ჩვენს ბაზრებზე (ვარა და მუქიანის მოედანთან მდებარე ბაზრისა) განსაკუთრებული იერიში მიიტანეს გადახედვლის წინააღმდეგ, დღეში ოცამდე კომისია მოდის ბაზრის დირექტორთან გადახედვლობასთან ბრძოლის შესაჩვენებლად. ბაზრის დირექტორი აღიანდას სამომხედ გათვლიანებელი დაყვება ამ კომისიებს და სინჯებს იმის საბუთებს, თუ როგორ და ღირებულება რომელ მოსტენში დაკრეფა რვა მანეთის ქინძი.

ბაზარში შესვლამდე კომლერტებს შინავლან ამოწმებენ აქვს თუ არა თუთისა და მლის გაყიდვის ნებართვა, რის აუღმასაც, როგორც შემოწმებამ გამოაკრეფა, გადახედვლი უფრო ადვილად ახერ...

სტილიანი ჯაღო

სტილინის რაიონის საკომლერტო ბაზრის ჩრდილოეთის მხარე მისევე წყობა, რაც უნდა აშენდეს და დამყვედნის ორსართოლიანი შენობი, 1950 წელი იყო. შედგა მშენებლობის გეგმა, თბილისის საკომლო სამუშაო მთლიანად დადგენილია ამ გეგმის სისრულეში მოვების შესახებ. ფული გადართვა და საკომლერტო ბაზრების სამართლებრივ უფუდაგეგმ...

თუმცა ჯერ რა დროს მშენებლობის დაწყება, როცა სამშენებლო ტერიტორია დაკავებული აქვს არტელ "ბავგეთა სამყაროს", "თბილერობას" და სხვა ნაირ-ნაირ ვეკარობა-სამყარების მიტაცებულ მოვლებზე ფარლდობს. საკომლერტო ბაზრების სამართლებრივ წინაშე პრიმულემა წამოიკრა; სიდან დაიწყო ფარლდობის დანერგვა, აღმოსავლეთიდან, სადაც "ბავგეთა სამყარო" მდებარეობს, თუ დასავლეთიდან, სადაც "თბილერობის" არ ეტყობა?

რეკამპირი და კალათის პრაოლევა

ერთ დღეს ბაზრების სამართლებრივით სათათბიროდ დასხდნენ.
— გაგამრეცელმა აიკლო ჩვენი ბაზრები! — თქვა ერთმა.
— საკომლერტო ბაზრების დირექტორები გადამყვედლებს არ ეტყობა! — განაცხადა მეორემ.
— უნდა მოხსნას ასეთი დირექტორი! — შენიშნა მესამემ.
— ბაზრის დირექტორად ვინმე მილიციის მუშაკი უნდა დაიწყოყვანათ, მორჩა და გაოლდა! — გეგმით დასავა მოუთხმე.

— მხოლად ისეთი მუშაკი, რომელიც უკვე გადამდგარია და მოზრდილი ჰქვია აქვს. მის პენსიას რომ ხელფასი მიუძღუება, იმდენი ფული შეეგნება, არამეტელ წაუღლებს კომლერტებს, პირიქით, ხშირად თვითონვე დააბეჭდებს და "პარალელს" სიმღერითი გადტყობებს სახლში! — თქვა მეოთხემ.

— მე ვიცი ერთი ასეთი მუშაკი, მილიციის განყოფილების უფროსად მუშაობს. პენსიაც უდიდეს და გადახედვლობის ხომ მართკ შეგუკვითაც ე გააქრობს. გეგმავე კურონის, კარგი ბიჭია! — დამატებ მოუთხმე.

და მილიციის განყოფილების უფროსი უფროსი საკომლერტო ბაზრის დირექტორად დაინშნეს.

თათბირზე მხედველობიდან გამორჩა შემხვედრი ბაზრების გამოთქმა:

— რამდენი გადახედვლი მოიძილა ამხ. კურონამ მისდამი რწმუნებულ მილიციის განყოფილების ახლოს მდებარე ბაზრებზე?

— დაკალეთ ლტენი, უნდა დანერგოთ! — მიმართეს "ბავგეთა სამყაროს".
— არც ისეთი ბავგები გახლავართ, თქვენ რომ გვანივართ, ჯერ "თბილერობა" დაკალის ლტენი!

— ლტენი დაკალეთ, დანერგვის ვაპირებ! — მიმართის ახლა "თბილერობის" მაღაზიის მესვერებს.

— კაცო, რა გინდათ ჩვენგან, საწყალო ხალხი ვართ, ჩვენთვის თბილად ვეკარობთ... ჯერ ბავგეთა სამყარო დაანერგეთ!

ამ ვეკარობა-მორცხებაში აწკრიალდა ტელეფონი და თბილისის საბჭოდან გაიწია ვაგარგულეობა!

— შეხვედრი მშენებლობა! — დღეა 1951 წელი, შედგა მშენებლობის გეგმა, თბილისის საკომლო სამუშაო მთლიანად დადგენილია. 1951 წლის ზაფხულში მშენებლობის ადგილები ვერა და ცემენტრეცები მოხლდეს, მაგრამ ამ



წამოიღებინეთ კომლერტებიან გამხდდა ახლოსაც არ ეკაროდ

ახია ყასბაზა

ყასბის ხასიათი მიგვხსენებთ: უკრავს ხელში დიდი "საყოლი" და უწყალოდ ჩეხვს ძრბისა და ხარს, თხას და ცხვარს. ასეთი კაცი, აბა, კომლერტებს დაიბნობს! კომლერტების არ უწყალო ყასბას ხელში არ ჩაგრილნოდა, ბაზრებზე მოეწყო საყასბი სამყაროები.

ახლა კომლერტნი კიდევაც უნდა გაეყილოს ხორცი, ყასბათანაც უნდა იარის ხორცის დასაყიდოდ და ყასბასაც უნდა უღარავოს, რომ ხორცი არ მოპაროს. ერთი სიტყვით, ერთი ცხვარის გასასყიდად მთელი ოჯახი თან უნდა ჩამოყვებოს!

მომხმარებელი კი სომარგნებით მიირთმევს ეტივისადაც შეუმოწმებელი გლახის მიერ დაჭრილ ხორცს.
ახია ყასბაზე!

კალათა კლამოსასაგაბა

რამდენიმე თვის წინათ, სტალინის რაიონის საკომლერტო ბაზარში ფეტქობი განკარგულედა მოვიდა.

თქვენს ბაზარზე სასწრაფოდ გაგყავს რადისოსტარანსალოცო ქსელი, კულტურულად უნდა მივემსახუროთ ჩამოსული კომლერტებს. განკარგულედას თან რადისოსტარანებს და ტექნიკოსებს მოყვავ. დაიწყო ბაზრის მიესულ-მოქვებობა, რეპროდუქტორ-აპარატურის დადგმა-მოწყობა. მუშაობა დაშორდა, დაიბარდა 17,000 მანეთი.

— ეი, მაგრამ ასეთ რთულ რადიოდამდგომლობას ხომ სპეციალური მომსახურე უნდა? — ეკითხვის ბაზრის მესვერები მამ.

— მოდიწი, მაგის შესახებ კი არ გვეთვითია სამკობის უტყობი, აბა, საღ ვა მოეხმობო! — გამოემხმარებენ მამ.

რადისოსტარანებზე კი ღილის წესრიგად დათმობის.

ინდაწილახი

1947 წლიდან განისვენებს აქ ეს საკომლო, კაცი ხელს არ ჰკიდებს. გაყოფილი ზოგჯერ მთელი დღით მდის მაღალიდან, კარს ღიბს ჰკიდებს, იქნებ უკრავდამა მოპარვის რამე და როგორც ახალ მსარეობებზე ევერისობს, მაგრამ,

იგავები

ეს იგავები უმიზნებენ ზოგიერთთა არსებაში შემორჩენილ ძველი ყოფის გადანაშთებს.
ავტორი

აღვა და კაკალი

აღვა და კაკალი წაღაპარაკდნენ.
ამაყად თავაწეულმა აღვამ ზვიადად გადმოჭხედა ნაყოფისგან წელში გადრეკილს და უთხრა:

„მე კაცთა თვადის გამხარებელი ვარ და ყველას ვუყვარვარ, შენ კი ყველას სძულხარ, წამოგესევიან ხოლმე ადამიანები შემოდგომობით: ზოგი ქვას გესვრის, ზოგი — ტუკს, ზოგიც გრძედ ჭოლოკს დაგიშენს და ცემით თავ-პირს დაგამტვრევს“.

მწარედ გაეცინა კაკლის ხეს.

„ეჭ, შენ რა გიშავს, თავქარიანსა და ცაში აწვიდის. მე თუ ქვას მესვრიან და კაცთა შორის უზრდელნი ხშირად შტოებსაც მიმტვრევენ, ეს თავისთავად გასაგებია.“

რომელი სუდელი დადგება შენს ძირში, ბევრიც რომ გესროლონ ქვა და ჭოლოკებიც რომ დაგიშინონ, რას უნდა გამოგჩინე ნეტავ?“

სურო და კოხკი

სურო წაეთამამა მრავალსაუკუნიან ბრძოლებში ქონგურებშედენილ, ცაში აზიდულ კოხკს.

„უნდა შეურიგდე, ძმობილო, შენ სიდაბლეს, მე ყოველ წელს ზევით-ზევით მივისწრაფვი და შენ ცაშიაც რომ აჰყო ხელი, ჩემზე მაღლა ვერასოდეს ამოიწევი“.

„ეს მართალია, ძმობილო, შენ მუდამ ჩემზე უფრო მაღლა ახერხებ აძრომას, ერთი რამ გავიწყდება ოლონდ, რომ მე შენი საყრდენიცა ვარ და კიბეც, თორემ გნახავდი, თუ როგორ გადაგოქერავდნენ ადამიანები ფეხით“.

ზღარბი და ლოკოკინა

„ძიაკაცო, — მიაძახა ლოკოკინამ ზღარბს, — აგრე გუდმოსული რად დადიხარ მუდამ, ერთხელაც არავის ეტყვი აღერსიან სიტყვას, ამიტომაც სატვერებად გქცევია თმები“.

„ეჭ, ჩემო კარგო, შენ რა გიშავს ენაგატდეკიდს, ეგ შენი ქოხი ზურგზე წამოგიკოლიკვებია, წაწვრილებული თავი გადაგისდექია და როგორც კი გარეთ გამოხვად, უმცირეს ხვრელშიაც იოლად შეძვრები, მე კი ბრძოლით ვიკაფავ ამ ცხოვრებაში გზას, სწორედ ამის გამო სატვერებად მექცნენ თმები“.

კუ და მელა

როცა მოხუცი კუ სიკვდილს მიეახდა, იხმო თავისი პირმშო და სამი სიბრძნე უანდერძა:

უპირველესი ეგაა: ფრთხილი იყვე, თვით მაშინაც. როცა შენს ციხეში იქნები, იმაზე მეტს ნუ მოინადინებ, რაც შენს ძაღას აღემატება, ერიდე პირში მაჭებარს, რადგან იგი პირში მაძაგებულზე უფრო საშიშიაო.

ერთხელ მეღია გადაეყარა გზადმიმავად კუს: მტრის მოახლოება რომ შეიცნო, მამის შეგონება მოაგონდა: გაფრთხილდა კუ და თავის ციხეში გამაგრდა.

ბევრი უტრიადა მეღიამ, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, მაგრამ ვერაფერი დააკლო ხობოკვერაში შეყუჟულს.

ბოდოს მიადგა და ხოტბა შეასხა.

აქებდა მის სიფრთხილეს, სიღინჯესა და დარბაისილობას.


მე ბევრი სივლია ამქვეყნად, მაგრამ შენისთანა უშიშარი რაინდი ჯერ არ მინახავსო, შეუმუსვრელი ციხის პატრონი.

არც არავის გააჩნია ასეთი ღამაზი ხობოკვერა. ესეცაა ამოვიკითხე შენს ზურგზე წარწერა — მეფედ არჩევა მოგედისო.

თუ არა გჯერა, გამოიხედე და თავათ წაგაკითხებო.

იმდენი აქო და ადიდა მეღიამ კუ, რომ ამ უკანასკნელს ცნობის წადილი წამოეძაღა: მართლაც მეფედ ხომ არ მირჩევენო, თავი გამოჰყო თუ არა, მეღიამ წამსვე დაითრია სამი მცნების დამრღვევი.

კონსტანტინე გამსახურდია



ბარათი ბათუმი

ქალაქი ბათუმი. „პირველი მაისის“ სახელობის სა-
სტუმრო, ოთახი № 7. ნიანგის სპეციალური ჩიტკორეს-
პონდენტი.

ეს არის ჩემი პირდაპირი მისამართი. გიგზავნი
ჩემს მიერ გადაღებულ ფოტოსურათსაც.


დიდი ხანი არ არის, რაც აქ მოვეწყვე. უნდა
ითქვას, რომ ჩემი ოთახი კომფორტაბელურად გახლავთ
მოწყობილი: რბილი საწოლი, რბილი ავეჯი და ფართო
მაგიდა — რადიორეპროდუქტორით, საფერფლე-სამელ-
ნით, და, რაც მთავარია, სათაგურებით მომარაგებუ-
ლი. გასაგებია, ეს ხომ ეგრეთ წოდებული „ლუქსის“
ოთახია და ყოველმხრივ სანამუშაო უნდა იყოს. სხვა
ოთახებში, მაგალითად, საფანგები არ არის დადგმული
და თავებს ღამ-ღამობით მდგმურები დასდევენ. მე კი
შემიძლია დამშვიდებით ვუცადო საფანგის სასხლეტს
და დილით ჩემი ნანადირევი ამაყად ჩავაბარო აღმი-
ნისტრაციას. უნდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ამას
თითის ტკივილით ვწერ...

საქმე იმაშია, რომ შევნიშნე თუ არა სათაგური
ჩემს საწერ მაგიდაზე, მაშინვე მსურდა ეს დიდი ფაქ-
ტი მზრუნველობისა თქვენთვის მომეწერა და, ვინაიდან
საწერ-კალამი მაგიდაზე არ აღმოჩნდა, უჯრაში ჩავ-
ყავი ხელი და ჩემდა სავალალოდ თითები „მოვიტე-
ტკვე“ საფანგში.

რა ვუყოთ, არც ერთი დიდი საქმე უმსხვერპლოდ
არ კეთდება!


თქვენი ერთგული

ჩიტკორესპონდენტი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზკულტურისა და სპორტის ახმაზი მრავალ სერიალ



ტანწერწეტა იყო ძველად,
წელს კი ისე გასუქდა,—
თითქოს ერთმა აითვისა
სინოყივრე ნაზუქთა!..

ზამბახივით ღამაზ ექიმს
თვალი ჰქონდა გიშერის
და თვადმა კი უთხრა:—ძმაო,
მხოლოდ სპორტი გიშვედის!

მთელი გულით მოინდომა
სამკურნალო გართობა,
მაგრამ ყველა სტადიონზე
დახვდა უკუღმართობა,—

სადღა არის ფეხბურთელთა
ძველებური თამაში,
სპორტის ყველა მოყვარული
ვინვით წელს ერთ ტაფაში!

არც წყაღბურთი, არც ჩოგბურთო,
ალარც კადატბურთია,—
სად წავიდეს, ვისაც გულში
სპორტის ცეცხლი უნთია!?

რად გაექცნენ ოსტატები
ამ ორძელებს, ამ ლერძებს,
განკურნებას ვინლა ჩივის,
გული იმათ დაეძებს!

გოგოთურ კიბრიაული

რედაქტორი კ ბ რ ლ ო კ ა ლ ა ქ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниваги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1952 წ. 18/VI. სტამბა „ხარია ვოსტოვა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1387 გამოც. № 11. ტირ. 15.000. შე 02480.
დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, ბარათაშვილის ქ. № 10/1 შეკ. № 277



ნ. გ. ლომიძის

ამერიკული ხაუნები

„სუა აღმოსავლეთის სარდლობაში“ თურქეთი შეიყვანეს
სუა აღმოსავლეთის ხალხთა შესატყუებლად.

გაზეთებიდან

— ამდენი ხანია აქა ვარ კისრით ჩამოკიდებული, ხაფანგს კი არავინ ეკარება!